ოლიმპიადა ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ოლიმპიადის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად ***უნდა შეასრულოთ ორივე დავალება*** *(წერითი დავალება № 1 და წერითი დავალება № 2).*

დავალებათა შესასრულებლად გეძლევათ ***3 საათი.***

თითოეული დავალების ***მაქსიმალური ქულაა 20.***

ორივე თხზულება უნდა გადაიტანოთ ***პასუხების ფურცელში.*** გაითვალისწინეთ, ***შავად შესრულებული ნამუშევრები არ გასწორდება.***

გისურვებთ წარმატებას!

წერითი დავალება № 1

ინსტრუქცია:

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ტექსტი. კარგად გაიაზრეთ იგი, იმსჯელეთ, რის თქმა სურს ავტორს და გამოხატეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება.

ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად დასაბუთებული იქნება ესა თუ ის შეხედულება შესაბამისი არგუმენტებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით.

სასურველია ნაშრომი ერთი გვერდი მაინც გამოვიდეს.

რევაზ ინანიშვილი

ზამთრისპირის სევდა

ზამთრისპირის ბურუსიან დღეს ოთხი ვეება ფრინველი უხმაუროდ მოფრინდა და ბაღის ბოლოში, ფოთოლგაცვენილ კაკალზე დაჯდა. ისხდნენ, როგორც ბავშვის ნახატში, ხესთან შედარებით უზომოდ დიდები, ნაცრისფერში შეჟღენთილი თეთრი აკვარელივით, დაღლილები თუ საგონებელში ჩაცვივნულნი. შეშინებულნი უყურებდნენ ღობის ძირებში შემალული ქათმები.

გამოვარდა კედლის იქიდან ჩემი მასწავლებელი, აკანკალებული ხელით ჩააწყო გადახსნილ თოფში ვაზნები, ჩაიპარა ორღობით და ყველაფერი დააზანზარებინა წყვილ გასროლას, მაგრამ ფრინველთაგან არცერთი არ ჩამოვარდნილა, თითქოს არც შეშფოთებულან. გაშალეს ფართო, გრძელი, ძლიერი ფრთები და თანდათანობით შეერივნენ ბურუსს – რა შეუცნობლობიდანაც მოვიდნენ, ისევ იმ შეუცნობლობაშივე შეიკარგნენ.

მასწავლებელი – ჯანმაგარი, მჭევრმეტყველებით განთქმული კაცი – მრგვალ საფანტს აბრალებდა, მრგვალმა საფანტმა ვერ გაუარა თივთიკსო. მე კი, ათი წლისას, მცენარეებიდან და ცხოველებიდან ჯერ სულგაუმიჯნავ ბავშვს, ძალიან მიკვირდა, როგორ ამბობდა ამას: როგორ შეიძლება მოკლა ქვეყნიდან ქვეყნად მოხეტიალე ზამთრისპირის ულამაზესი სევდა!

შავი სამუშაოსათვის

წერითი დავალება № 2

ინსტრუქცია:

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით.

სასურველია ნაშრომი ერთი გვერდი მაინც გამოვიდეს, რათა მასში სრულად აისახოს თქვენი დამოკიდებულება დასმული საკითხის მიმართ.

გამარჯვება იმას კი არ ნიშნავს, რომ პირველი ხარ, გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ ხარ უკეთესი, ვიდრე იყავი *(აღმოსავლური სიბრძნე).*

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

შავი სამუშაოსათვის